



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო  
პროგრამის შესახებ

„სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“  
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები: 19-20 ივნისი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19 სექტემბერი, 2022 წელი

თბილისი  
2022 წ.

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები Transport Process Engineering Technologies
უმაღლესი განათლების საფეხური	III (დოქტორანტურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი/ Doctor of Transport Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები / Motor Vehicles, Ships and Aircraft (0716.1.1 ტრანსპორტის ინჟინერია / Transport Engineering)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	55 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება №125. 19.04.2012  (აკრედიტებულია 2021 წლის 15 აგვისტომდე. იხ. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილება)

<sup>1</sup> ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვალერი ჯაჯანიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარ დუაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ წარმოადგენს 2012 წლიდან 2021 წლის 15 აგვისტომდე მოქმედი სადოქტორო პროგრამის „სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია და მართვა“ მოდიფიცირებულ ვერსიას, უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2020 წელს განხორციელდა აღნიშნული პროგრამისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება და წარდგენილ იქნა სააკრედიტაციოდ, აკრედიტაციის საბჭოს (№318812, 02.04.2021 წ.) გადაწყვეტილებით უარი ეთქვა რეაკრედიტაციაზე.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (№318812, 02.04.2021 წ.) რეკომენდაციები, შედეგად განხორციელდა პროგრამის შინაარსობრივი ცვლილება და მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა „ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი“.

წარმოდგენილი პროგრამა ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მშენებლობის და ტრანსპორტის“ დეპარტამენტში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პირი.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ (აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება №49 (17/18)) შესაბამისად.

პროგრამის მოცულობა შეადგენს არანაკლებ 3 წელზე გაწერილ 55 ECTS კრედიტს. მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 40 კრედიტის მოცულობით; არჩევითი კომპონენტი - 40 კრედიტის მოცულობით; კვლევით კომპონენტს.

2012 წლიდან პროგრამაზე სულ სწავლობდა 22 დოქტორანტი, მათ შორის 12 დოქტორანტს მინიჭებული აქვს დოქტორის კვალიფიკაცია.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ სააკრედიტაციო შეფასება

განხორციელდა 2022 წლის 19 და 20 ივნისს უშუალოდ ადგილზე ვიზიტით. ვიზიტის განხორციელებამდე აკრედიტაციის ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილდა კონკრეტული დავალებები, ხოლო ვიზიტამდე 17 ივნისს, განხორციელდა წინასააკრედიტაციო შეხვედრა zoom-ის პლატფორმის გამოყენებით დისტანციურად. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს დაწესებულებასთან ინტერვიუს რეჟიმში დასაზუსტებელი საკითხები, ჩამოაყალიბეს კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა მშვიდ და საქმიან გარემოში, დღის წესრიგის შესაბამისად წარიმართა ყველა შეხვედრა, დოკუმენტით გათვალისწინებულ დროის ინტერვალში, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია, როგორც ვიზიტამდე, ასევე უშუალოდ ვიზიტის წარმოების პროცესში. უსდ-ის მიერ შეუფერხებლად განხორციელდა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარმოდგენა ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის დასრულებისას, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი #1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 1.1 - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, კომპონენტი 1.2 - „მეტწილად შესაბამისობაშია“ მოთხოვნებთან).
- სტანდარტი #2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (კომპონენტები 2.1, 2.2, 2.4, 2.5 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტები 2.3 და 2.6 - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).
- სტანდარტი #3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 3.1 და 3.2 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).
- სტანდარტი #4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტი 4.1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, კომპონენტები 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტი - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).
- სტანდარტი #5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტი 5.2 - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტები 5.1 და 5.3 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

▪ **რეკომენდაციები**

- მიზანშეწონილია პროგრამის მიზანში არსებული ჩანაწერი „პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება“ დაკორექტირდეს, რათა პროგრამის მიზანი ნათლად და სრულფასოვნად იქნას წარმოდგენილი.
- მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რამდენადაც გაურკვეველია რა ტიპის პედაგოგიურ საქმიანობაზეა საუბარი;

- საწავლო კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში მიეთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა იმ შემთხვევაში, თუ მიითებულა ინგლისურენოვანი ლიტერატურა, მაგრამ კურსის განმახორციელებელი არ ფლობს/არასაკმარის დონეზე ფლობს ინგლისურ ენას;
- სასწავლო კურსის სილაბუსი „პედაგოგიური პრაქტიკა“ სწავლის შედეგების შესაბამისად მიეთითოს ლიტერატურა და დაზუსტდეს სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის შეფასების სისტემა გაიწეროს თემატიკის და სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე.
- მიზანშეწონილია იმ პირებთან, რომლებიც მომავალში ჩაერთვებიან პროგრამის განხორციელებაში, გარდა მათი თანხმობის განცხადებებისა, ასევე გაფორმებულ იქნას წინარე ხელშეკრულებები.
- უნდა მოხდეს გარე შეფასების პროცესში მიღებულ რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირება და შესაბამისი აქტივობების გატარება, რაც უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რა მიზნითაც ეს რეკომენდაციები იყო გაცემული, კერძოდ: „აუცილებელია პროგრამების შემუშავებისა და განვითარების სტადიაზე აკადემიური პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მეტად კოორდინირებული მუშაობა, რათა თავიდან იყო აცილებული შეუსაბამობები. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრივაც საჭიროებს უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების სტადიაზე“.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციათა აღრევა ცოდნა, უნარი და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის შესაბამისად;
- მიზანშეწონილია დროულად მოხდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომის - პროგრამის კურიკულუმში არსებული კრედიტების შეუსაბამობის აღმოფხვრა;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველია მოხდეს შეფასების სისტემის ქულათა რანჟირება რელევანტური კრიტერიუმებით;
- მიზანშეწონილია ყველა სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევა და დამატება მოხდეს თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომი იყოს ციფრული სახით;
- მიზანშეწონილია მომავალში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს შემდეგი მექანიზმის გამოყენება - პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად მოახდინოს პროგრამის კომპონენტების სილაბუსების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამის საკითხებზე ჩაატაროს დამატებითი კონსულტაციები.

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. წარმოდგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის განხილვის შემდეგ ჯგუფმა დაარედაქტირა დასკვნა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ტექნიკურად და ტექნოლოგიურად აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც სრულად და ოპერატიულად უზრუნველყოფს მომხმარებელთა მომსახურებას, წიგნადი ფონდის დაცულობას, რესტავრაციასა

და სისტემატურ განახლებას, მრავალფეროვანი ელექტრონული სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ მიზანია „დოქტორანტებისათვის ტრანსპორტის ინჟინერიის სფეროში შემოქმედებითი ინიციატივების გენერირება, განვითარებაზე ორიენტირებული კრეატიული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა, მათი შეფასებისა და განხორციელებისათვის დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ანალიტიკური უნარების გამომუშავება; ახალი ცოდნის შექმნაზე გათვლილი სწავლების თანამედროვე მეთოდების და პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება“.

პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ვინაიდან, უნივერსიტეტის მისიით გაცხადებულია, რომ „უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს და ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას“, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმის შედეგში 1.7. ნათქვამია, რომ „წარმოებს რეგიონის განვითარების პოლიტიკისა და პროცესების ხელშემწყობი კვლევები“.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტებზე (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - საქართველოს 2021- 2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია).

პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში, ინტერვიუების ჩატარებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია ყველა დაინტერესებული და ჩართული მხარის მიერ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, პროგრამის მიზანებიდან ერთ-ერთი „პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება“, არარეალისტურია მოცემული პროგრამის სტრუქტურისა და



შინაარსიდან გამომდინარე. მიზანშეწონილია აღნიშნული ჩანაწერი „პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება“ დაკორექტირდეს, რათა პროგრამის მიზანი ნათლად და სრულფასოვნად იქნას წარმოდგენილი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“
- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018- 2024 წწ.;
- ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - საქართველოს 2021- 2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- მიზანშეწონილია პროგრამის მიზანში არსებული ჩანაწერი „პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება“ დაკორექტირდეს, რათა პროგრამის მიზანი ნათლად და სრულფასოვნად იქნას წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოკმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება:**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩაშლილია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ დადგენილი სამი კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) მიხედვით და ძირითადად მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, არის რეალისტური, გაზომვადი, მიღწევადი და შეესაბამება სადოქტორო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს, კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, მიუხედავად სწავლის შედეგების საერთო შესაბამისობისა, პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგი საჭიროებს ცვლილებას, რათა აღმოფხვრილ იქნას კომპეტენციათა აღრევა და ფორმულირებული იქნას მკაფიოდ, კონკრეტულად პროგრამის სწავლის შედეგი 4. არსებული ცოდნის გაფართოებით და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით განსჯის სახმელეთო-საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესში წარმოქმნილ რისკებს, ახდენს მათ სისტემურ იდენტიფიცირებას, კრიტიკულ გააზრებას და

ასახელებს მათი აღმოფხვრის გზებს, 8. აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით ხელმძღვანელობს და ახორციელებს ტრანსპორტის ინჟინერიის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს და დარგის განვითარებაზე ორიენტირებულ სხვა ღონისძიებებს და 10. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგებში დაფიქსირებული ფორმულირება პედაგოგიური საქმიანობის წარმოება, ვერ განხორციელდება ინჟინერიის კვალიფიკაციის მქონე დოქტორის ხარისხის კურსდამთავრებულის მიერ, რამდენადაც პედაგოგიური საქმიანობა მოითხოვს უმაღლესი სკოლის (უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალისაგან განსხვავებულ კომპეტენციებს, პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პედაგოგიური საქმიანობის წარმართვაში ისინი გულისხმობენ უმაღლესი სკოლის (უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის საქმიანობას.

**მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რამდენადაც გაურკვეველია რა ტიპის პედაგოგიურ საქმიანობაზეა საუბარი.**

**მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციათა აღრევა ცოდნა, უნარი და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის შესაბამისად.**

პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების სქემა, სადაც მოცემულია შეფასების რუბრიკები და სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. მაგალითად, სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი შეფასებისთვის მტკიცებულებად გამოიყენება მათი სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით მიღებული შეფასებები. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის არაპირდაპირ მტკიცებულებებად კი დასაქმების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, გამოკითხვების და ფოკუსჯგუფის ინტერვიუების შედეგები.

დაწესებულება შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარებისათვის, კერძოდ მათი ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში, სასწავლო კურსის შინაარსსა და მოთხოვნებში, კურსის სტრუქტურასა და წინაპირობებში, სწავლის შედეგებში, შეფასების გეგმებში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს და შეფასების შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში და შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული, იყო გარე შეფასების (აკრედიტაციის საბჭოს) რეკომენდაციები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრებები, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, ასევე კოლეგიალური შეფასებებისას გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები”;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შეფასების რუბრიკა და სამიზნე ნიშნულები;
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;



<ul style="list-style-type: none"> <li>○ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რამდენადაც გაურკვეველია რა ტიპის პედაგოგიურ საქმიანობაზეა საუბარი.</li> </ul>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციათა აღრევა ცოდნა, უნარი და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის შესაბამისად.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> <p>-</p>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> <p>-</p>
<b>შეფასება:</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b> <p>სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნებია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ინჟინერიის, ან სატრანსპორტო დარგის სხვა მომიჯნავე სფეროების კვალიფიკაციით;</li> </ol>

2. საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში;
3. ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აქსუ-ში ან სათანადო საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატის წარმოდგენა).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში შემსვლელთათვის საჭირო ენობრივი უნარ-ჩვევების ფლობის კონკრეტული პირობები განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის დადგენილებით #32 (20/21) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“.

გამონაკლის შემთხვევებში, თუ აპლიკანტს გააჩნია დარგში პრაქტიკული ან/და კვლევითი მუშაობის გამოცდილება (რაც დასტურდება დოკუმენტალურად, შესაბამისი ნაშრომების ან სხვა სახით), მომავალი სადოქტორო ნაშრომის კვლევის ინტერდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, აპლიკანტის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან შესაბამისობის დადგენა წარმოადგენს დროებითი საფაკულტეტო კომისიის პრეროგატივას, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების (სტატუსს შეჩერებული) მიერ დადასტურდა პროგრამაზე მიღების წინაპირობების გასაზღვრული წესის მიხედვით ჩატარება და პროცესის გამჭვირვალობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №132/ნ 2013 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი - “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ <https://atsu.edu.ge/index.php/charter-geo> ;
- აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის დადგენილება #32 (20/21) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება:**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები” შემუშავებულია აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, კერძოდ, ამ პოლიტიკის შემადგენელი „საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა“ მიხედვით. პროგრამის კურიკულუმის აღწერით ნაწილში „პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)“ აღნიშნულია რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი. ამავე დოკუმენტის ჩანაწერში „პროგრამის სტრუქტურა სასწავლო კომპონენტი განისაზღვრება 55 კრედიტით. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კომპონენტი ასევე 55 კრედიტია პროგრამის სასწავლო გეგმისა და თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვითაც. დიდი ალბათობით აღნიშნული შეუსაბამობა წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის შეცდომას, რაც მიზანშეწონილია დროულად აღმოიფხვრას, რათა არ იყოს შეცდომაში შემყვანი.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება არჩევითი (ჯამში 15 კრედიტი) და სავალდებულო კურსებისაგან (ჯამში 40 კრედიტი). სასწავლო კომპონენტის კურსები განაწილებულია პირველ და მეორე სემესტრში. საერთო ჯამში, სასწავლო კომპონენტი მოცავს დოქტორანტისათვის განკუთვნილ 18 სასწავლო კურსსა და 1 თემატურ სემინარს (5 კრედიტი), რომელთაგან 10 სასწავლო კურსი წარმოდგენილია „არჩევითი“ სტატუსით, კვლევითი კომპონენტი მოიცავს – 3 კოლოკვიუმს და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვას, რომელიც ფასდება ერთჯერადად.

სადოქტორო პროგრამა “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები” სასწავლო გეგმის მიხედვით პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსებით ხდება კურსდამთავრებულისთვის საჭირო ტრანსპორტის ინჟინერიის საერთო ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბება, ხოლო არჩევითი კურსების შესწავლა ხელს უწყობს დარგის უახლესი სამეცნიერო მიღწევების, კვლევის ჩასატარებლად საჭირო თეორიების, მეთოდების, ხერხების გაცნობას და უყალიბებს კვლევითი სამუშაოს წარმართვის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კერძოდ, დოქტორანტის კვლევის მიმართულებიდან გამომდინარე შესაძლებელია შეირჩეს ტრანსპორტის ინჟინერიის სფეროს კონკრეტული მიმართულება (მოდრაობის და ეკოლოგიური უსაფრთხოება, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური ექსპლუატაცია, სატრანსპორტო პროცესების ოპტიმიზაცია).

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები” კვლევით კომპონენტში გათვალისწინებული „კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა“ აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად განხორციელდება მე-4, მე-5 და მე-6 სემესტრებში, რაც კოლოკვიუმებით მიღებული კვლევის შედეგების სრულფასოვნად გამოქვეყნების შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტს.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები” სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები შესაბამისობაში მოდიან სწავლების სფეროსა და საფეხურთან. სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილია ინფორმაცია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების შესახებ. პროგრამის ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსები შერჩეულია პრინციპის ზოგადიდან-კონკრეტულისკენ დაცვით. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო

<p>ტექნოლოგიები“</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;</li> <li>○ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და კურიკულუმის რუკა;</li> <li>○ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მიზანშეწონილია დროულად მოხდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომის - პროგრამის კურიკულუმში არსებული კრედიტების შეუსაბამობის აღმოფხვრა.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოკმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება:</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.3. სასწავლო კურსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სადოქტორო პროგრამის “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ სავალდებულო სასწავლო კურსების, ასევე არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება დოქტორანტურის აღმწერის დონეს და პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნის, მისაღწევი სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. წარმოდგენილი სილაბუსების უმეტესობაში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ტრანსპორტის აქტუალურ საკითხებზე, რომელებიც სრულფასოვნად უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურსა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, მაინც ვაწყდებით პრობლემას, კერძოდ სასწავლო კურსებში მითითებულია მხოლოდ უცხოენოვანი სავალდებულო ლიტერატურა. მაშინ როდესაც სასწავლო კურსის განმახორციელებელი CV-ში უთითებს ენის ცოდნის დაბალ დონეს. აკადემიურ პერსონალთან შეხვედრისას კითხვაზე რამდენად შეუძლია ლექტორს უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება მაშინ როდესაც არ ფლობს ენას შესაბამის დონეზე პასუხები იყო ბუნდოვანი.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამაში წარმოდგენილი დარგობრივი სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები საჭიროებს სავალდებულო ქართულ ლიტერატურის</p>



მითითებას იმ სასწავლო კურსებში რომელშიც ლექტორი არ ფლობს საკმარის დონეზე უცხო ენას. ასეთი სილაბუსებია:

- კვლევის თანამედროვე მეთოდები სატრანსპორტო ინჟინერიაში;
- ჰიბრიდული სატრანსპორტო ენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმების თეორიები და მოდელები.
- მიწისზედა ძრავიანი ტრანსპორტის დიაგნოსტიკის, რემონტის და შენარჩუნების პროგრესული ტექნოლოგიები
- გარემოზე სატრანსპორტო ნაკადების ზემოქმედების მოდელირება
- ძრავიანი ტრანსპორტის სერვისული მომსახურების ლოგისტიკა
- ტრადიციული და ალტერნატიული საწვავების კვლევის საინჟინრო ტექნოლოგიები
- საგზაო მოძრაობის ინჟინერია და სატრანსპორტო ქსელების დაგეგმვა.

გადასახედია სასწავლო კურსის სილაბუსი „პედაგოგიური პრაქტიკა (პროფესორის ასისტენტობა)“, რადგან: ა) ერთ-ერთი შედეგია „აღწერს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო-კვლევითი საქმიანობის სამართლებრივი აგების დოკუმენტებს და მართვის სისტემას“, ამავდროულად სავალდებულო ლიტერატურა (მოდველებული რესურსი) არარელევანტურია დაგეგმილ შედეგთან მიმართებაში განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით. ბ) დასაზუსტებელია სწავლის შედეგები.

სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველია მოხდეს შეფასების სისტემის ქულათა რანჟირება რელევანტური კრიტერიუმებით, კერძოდ უმეტეს შემთხვევაში გვხვდება შეფასების მოდელი „1 ქულა - პრეზენტაცია არ შეესაბამება საკითხს.“, „1 ქულა - სტუდენტის პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის“, გაურკვეველია თუ საკითხთან შეუსაბამოა სტუდენტის პასუხი რა პრინციპით ღებულობს საერთოდ ქულას.

სასურველია სარტანსპორტო სისტემების შეფასება EVALUATION of TRANSPORT SYSTEMS სილაბუსი გაიწეროს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სილაბუსის ფორმის შესაბამისად. დოქტორანტურის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსების დასახელებები EVALUATION of TRANSPORT SYSTEMS, Progressive technologies in freight and transport operations, Innovative methods of reducing transport risks შეიცვალოს ქართული სახელებით.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები”;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან.

#### **რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში მიეთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა იმ შემთხვევაში, თუ მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, მაგრამ კურსის განმახორციელებელი არ ფლობს/არასაკმარის დონეზე ფლობს ინგლისურ ენას.
- სასწავლო კურსის სილაბუსი „პედაგოგიური პრაქტიკა“ სწავლის შედეგების შესაბამისად მიეთითოს ლიტერატურა და დაზუსტდეს სწავლის შედეგები.

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველია მოხდეს შეფასების სისტემის ქულათა რანჟირება რელევანტური კრიტერიუმებით.

#### **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს დოქტორანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება პრაქტიკული ქეისების შესწავლისა და განხილვის გზით, პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტების ჩართვას აკადემიურ საქმიანობასა და კვლევით პროექტებში, კერძოდ ამისათვის გამოიყენება პროფესორის ასისტენტობა და კვლევითი კომპონენტის კურსები („კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა“, დოქტორანტის I, II და III კოლოკვიუმი). პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარებისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ლაბორატორიული ბაზები და კვლევითი პროექტები. ასევე, პროგრამით გათვალისწინებულია კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარება იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები-კომპანია „თეგეტა მოტორსი“ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას სადოქტორო პროგრამის „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების“ შემუშავებისა და წარმართვის საკითხებში საკმაოდ ღრმა ურთიერთთანამშრომლობა აკავშირებთ.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს კვლევის შემდეგ მიმართულებებს: სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია და მოძრაობის უსაფრთხოება, სატრანსპორტო საშუალებების ენერგეტიკული დანადგარები და ეკოლოგიური პრობლემები, მულტიმოდალური გადაზიდვები. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის კვლევით პროექტებში, ხოლო შედეგები წარადგინონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე. ადმინისტრაციისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისაგან დოქტორანტებს აქვთ ხელშეწყობა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რეგიონული დონის კვლევით პროექტებსა და სხვა ღონისძიებებში.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის 5 დოქტორანტი ჩართული იყო რუსთაველის ფონდის საგრანტო პროექტში. ასევე, დოქტორანტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში და ბოლო 5 წლის სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით მათ მიერ წარდგენილია 12 მოხსენება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ გადამოწმებული დოქტორანტურის პროგრამის ფარგლებში დამუშავებული სადოქტორო ნაშრომები, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანი შესრულებულია მაღალ დონეზე, მოიცავს სამეცნიერო სიახლეს, კვლევის მეთოდები



და კვლევის სიღრმე დამაკმაყოფილებელია და საერთო ჯამში, კვლევის ხარისხი აკმაყოფილებს სადოქტორო კვლევითი ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში. უნივერსიტეტი ამ მხრივ სტუდენტების ფინანსურ დახმარებასაც უზრუნველყოფს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება:**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება ვერბალური და წერიტი, წიგნზე მუშაობის, ლაბორატორიული კვლევის და დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები. ასევე ინტერაქტიური მეთოდები: დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი ასევე სხვადასხვა ტიპის აქტივობები. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, კურსების შესწავლა ხორციელდება თეორიულ, პრაქტიკულ მეცადინეობებზე და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შედეგად მიიღწევა - სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად თემათა განხილვა პრობლემურ ასპექტში და დოქტორანტის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციით.

სემინარი და კოლოკვიუმები ითვალისწინებს პრობლემური საკითხის საფუძვლიანად დამუშავებასა და მოხსენების მომზადებას. სასემინარო მოხსენებისათვის პროგრამის ფარგლებში შეირჩევა საკითხები, რომელთა დამუშავება საჭიროებს ლექციებზე მიღებული ცოდნის სათანადოდ გააზრებას, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მართებულად აღიქვამს დოქტორანტი შერჩეულ პრობლემატიკას ან/და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას. სემინარის მუშაობაში

მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები.

კოლოკვიუმების ჩატარების დროს ხდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში არსებული სწავლება-სწავლის მეთოდები, ხშირ შემთხვევაში საჭიროებენ დამატებას, სწორად შერჩევას და მორგებას სწავლების თემატიკიდან გამომდინარე.

**მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევა და დამატება მოხდეს თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები”;
  - სასწავლო კურსების სილაბუსები;
  - ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები**

-

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევა და დამატება მოხდეს თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

- შეფასება:**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.6. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში გამოყენებული სტუდენტის შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასებისას გამოიყენება 100 ქულიანი შეფასების სისტემა.

შეფასების სისტემა უშვებს:

- ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
- (A) ფრიადი – შეფასება 91-100 ქულა;
  - (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასება 81-90 ქულა;
  - (C) კარგი – მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა;
  - (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა;
  - (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა;

- ორი სახის უარყოფით შეფასებას:**
- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასება 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს

ჩასაზარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება F -0 ქულა.

ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ ასახულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში, სადაც ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და შეფასების ქულათა რანჟირება. **თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსთა უმეტესობაში ქულათა გადანაწილება სხვადასხვა კომპონენტებზე ერთნაირია, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ არის გათვალისწინებული კონკრეტული საგნის სპეციფიკა.**

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული 3 კოლოქვიუმის შესრულების ოქმის წარდგენა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში. ფაკულტეტის დეკანატის მიერ გაცემული ცნობით 3 კოლოქვიუმის შესრულების შესახებ და ამ კოლოქვიუმების შეფასება; ცნობას ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი. კოლოქვიუმების შეფასების მეთოდიკა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტით. კოლოქვიუმის შეფასება ითვლება დადებითად თუ იგი მიიღებს შეფასების სისტემით გათვალისწინებულ დადებით შეფასებებს, უარყოფითი შეფასების (სტუდენტს ჩასაზარებლად მეტი მუშაობა სჭირდება) შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს იგივე კოლოქვიუმი შესწორებული სახით ჩააბაროს მომდევნო სემესტრში, ხოლო უარყოფითი შეფასების (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი) შემთხვევაში დოქტორანტმა თავიდან უნდა გაიაროს კოლოქვიუმის შესრულების პროცედურა.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, ნაშრომის საჯარო განხილვისათვის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის მიერ შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დასახელებული შეფასებები მიიღება შესაბამისი კომისიის/კოლეგიის/საფაკულტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ, დადგენილი კრიტერიუმებით, ფარულად მინიჭებული ქულების (0-100) საშუალო არითმეტიკულის მიხედვით. კერძოდ:

- შეფასება "ფრიადი" მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 91-100 ქულას;
- შეფასება „ძალიან კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 81-90 ქულას;
- შეფასება „კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 71-80 ქულას;
- შეფასება „საშუალო“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 61-70 ქულას;
- შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 51-60 ქულას;
- შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 41-50 ქულას;
- შეფასება „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 40 ქულას და ნაკლებს.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა. ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. უკუგება უზრუნველყოფილია. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო კურსების განმახორციელებლებისაგან. უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების გასაჩივრების მექანიზმი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას სურვილის შემთხვევაში, გაასაჩივროს მიღებული ქულა და მოითხოვოს ნაშრომის კიდევ ერთხელ გასწორება/შეფასების გადახედვა, რაც დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან იღებენ უკუკავშირს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები";
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის შეფასების სისტემა გაიწეროს თემატიკის და სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება:**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ სტუდენტებთან საჭიროების შემთხვევაში მართავს მისაღებ საორიენტაციო ღონისძიებებს, სადაც სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებს და აწვდიან ინფორმაციას სწავლის პროცესების შესახებ. უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტს აქვს საშუალება როგორც ფაკულტეტის და უნივერსიტეტის მხრიდან არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვის და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად მიიღოს საჭირო ინფორმაციები, კონსულტაციები და დახმარებები როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისაგან. აწსუ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის განმახორციელებელთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით, ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, დატვირთვა. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს აწსუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტებს უტარდებათ გამოკითხვები, რისი საშუალებითაც მათ შეუძლიათ შეაჯამონ და შეაფასონ განვლილი სემესტრი, საგნები, ლექტორები და სწავლის მეთოდოლოგია, გამოთქვან საკუთარი სურვილები რაიმე ასპექტის გაუმჯობესების შესახებ.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულად მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე, დასაქმებისა და კარიერულ განვითარების შესაძლებლობებზე. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური პერსონალისაგან კონსულტაციების მიღება სტუდენტს შეუძლია წინასწარი შეთანხმებით. აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ურთიერთობისათვის იყენებენ კორპორატიულ ფოსტას და Ms Teams პლატფორმას. მისი მეშვეობით დოქტორანტებს შეუძლიათ შეუზღუდავად დაუკავშირდნენ როგორც პროგრამის, ასევე სამეცნიერო



ხელმძღვანელსა და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალს დახმარებისა და ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაციის მისაღებად.

სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ და იღებენ მონაწილეობას მათში, კერძოდ, ბოლო 5 წლის მონაცემებით მოხდა 12 მოხსენების წარდგენა და 5 საგრანტო პროექტში მონაწილეობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აწსუ-ს საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დებულება;
- აწსუ-ს ვებ-გვერდი;
- აწსუ-ს საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ვებ-გვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აწსუ-სა და სხვადასხვა უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმები;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება:**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ ემსახურება კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელთა პროფესიონალიზმსაც ადასტურებს მათი მრავალწლიანი აკადემიური მოღვაწეობა. 15 მათგანი სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელია, რომლებიც მოიცავენ კვლევის შემდეგ მიმართულებებს: სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია და მოძრაობის უსაფრთხოება, სატრანსპორტო საშუალებების ენერგეტიკული დანადგარები და ეკოლოგიური პრობლემები, მულტიმოდალური გადაზიდვები. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია და მოვალეობები გაწერილია შესაბამის დებულებაში. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სილაბუსებში არსებული დამოუკიდებელი სამუშაოებისა და დისერტაციის შესრულების პროცესში აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ დოქტორანტთან, როგორც უშუალოდ ასევე დისტანციური საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით.

საკვლევი თემის შერჩევა ხდება დოქტორანტის, შესაბამისი მიმართულების წამყვანი პროფესორის და პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო მონაწილეობით, დეპარტამენტისა და ფაკულტეტის საბჭოებზე განხილვის შემდეგ, ეგზავნება რექტორს დასამტკიცებლად.



თითოეულ დოქტორანტს აქვს მუშაობის ინდივიდუალური გეგმა.  
ექსპერტთა მიერ გადაიხედა დაცული დისერტაციები, რის შედეგადაც აღინიშნა, რომ ისინი სრულად აკმაყოფილებენ სადოქტორო კვლევითი ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აწსუ-ს დებულება დოქტორანტურის შესახებ (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის დადგენილება №62(17/18))
- აწსუ-ში დოქტორანტის ინდივიდუალური მუშაობის გეგმის ნიმუში.
- დაცული დისერტაციები.
- პერსონალის CV-ები.
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება:**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი

კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 17 პირი, რომელთაგანაც - 5 არის პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი. ისინი განხორციელებენ როგორც სასწავლო, ასევე კვლევით კომპონენტსაც.

როგორც ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი მასალის შესწავლის საფუძველზე გაირკვა პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 3 მოწვეული პერსონალი (მათ შორის ერთი პროგრამის თანახელმძღვანელი და ერთი უცხოელი), აღნიშნული პირები საკუთარი განცხადების საფუძველზე თანახმა არიან მონაწილეობა მიიღოს წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში მოწვეული სტატუსით. უნდა აღინიშნოს, რომ **მიზანშეწონილია პირად განცხადებასთან ერთად დაწესებულებას ჰქონდეს მათთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები.**

პროგრამის განხორციელებელ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებითა და პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე დგინდება რომ თითოეულ მათგანს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ დატვირთვას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვასა და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი 14:3 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ჰყავს 2 ხელმძღვანელი, რომელთა პირადი საქმეების გაცნობითა და გასაუბრებით დგინდება, რომ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის და განვითარებისთვის საჭირო ცოდნა, ორივე მათგანი წლების განმავლობაში ახორციელებს სწავლებასა და კვლევებს დარგის მიხედვით და უშუალოდ არიან ჩართულები პროგრამის განხორციელებაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათგან ერთი არ წარმოადგენს აწსუ-ს აკადემიურ პერსონალს და საჭიროა მასთან გაფორმებული იქნას ხელშეკრულება;

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს და ხელმძღვანელებს გამოქვეყნებული აქვთ შრომები როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის Scopus-ს და ERISH PLUS-ს მონაცემთა ბაზაში შემავალ ჟურნალებში.

საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს გააჩნიათ სწავლებისა და კვლევების ხელმძღვანელობისთვის სათანადო კომპეტენცია. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

<ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;</li> <li>○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;</li> <li>○ ფაკულტეტის სტუქტურა.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მიზანშეწონილია იმ პირებთან, რომლებიც მომავალში ჩაერთვებიან პროგრამის განხორციელებაში, გარდა მათი თანხმობის განცხადებებისა, ასევე გაფორმებულ იქნას წინარე ხელშეკრულებები.</li> </ul>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> -
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> -
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> -
<b>შეფასება:</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</li> <li>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</li> </ul>
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b> <p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგულარულად ახდენს პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს; ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სისტემატურად ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სემინარები, ტრენინგები. 2014 – 2020 წლებში საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ჩართული იყო USAID-ის და რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებაში. ამ პროექტების ფარგლებში პერიოდულად იმართებოდა ტრანსპორტის სფეროს საკითხებთან დაკავშირებული კონფერენციები და შეხვედრები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორები. გარდა ამისა ბოლო ხუთწლეულში აწსუ-მ ორჯერ უმასპინძლა ქართულ-პოლონურ საერთაშორისო კონფერენციას სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“ ტრანსპორტის პრობლემებზე მომუშავე ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მეცნიერთა მონაწილეობით. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასებისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება ყოველწლიური ანგარიშები, ასევე შიდა შეფასების პროცედურით გათვალისწინებული სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეწევა აქტიურ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოებული კვლევები და გრანტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები. მაგ. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით</p>

შესრულებულია 5 საგრანტო პროექტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება:**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო სასწავლო ინფრასტრუქტურით, კერძოდ: ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კომპონენტის მხრივ სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია კომპიუტერებითა და დემონსტრირების ციფრული საშუალებებით აღჭურვილი 4 სალექციო აუდიტორია, 60 სტუდენტზე, ბიბლიოთეკით (წიგნადი და ელექტრონული) და სამკითხველო დარბაზი. რაც შეეხება კვლევის მიმართულებას, ლაბორატორია საშუალებას იძლევა დოქტორანტმა ჩაატაროს კვლევა შიგა წვის ძრავების საწვავ-ეკონომიურობის, ეკოლოგიურობის და ალტერნატიული საწვავების გამოყენების მიმართულებით, მოძრაობის უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვის მიმართულებით, რაც შესაბამისობაში მოდის პროგრამით განსაზღვრულ კვლევის მიმართულებებთან, შესაბამისად აწსუ-ში და პარტნიორ ორგანიზაციებთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შესაძლებლობას იძლევა იქნას პროგრამის სწავლის შედეგების გარანტირებული და შეუფერხებელი მიღწევა.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა და ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს. სასწავლო კურსებში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია როგორც ბიბლიოთეკის ფონდის საცავში ფიზიკურად ასევე ელექტრონულ მატარებლებზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი მხოლოდ ფიზიკურადაა ხელმისაწვდომი.

დისტანციური სწავლების სპეციფიკიდან მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომი იყოს ციფრული სახით.

უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც ჩართულია საერთაშორისო სამიუნივერსიტეტო სისტემაში, უზრუნველყოფს დარგის მიმართულებით უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ახლად აშენებული თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის კომპლექსი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, რაც ბიბლიოთეკით სარგებლობას უფრო მოსახერხებელს, კომფორტულს და მოკლე დროში ხელმისაწვდომს ხდის.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სადოქტორო პროგრამა “სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“;
  - უნივერსიტეტის სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა;
  - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის ფონდი.

**რეკომენდაციები:**

-

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომი იყოს ციფრული სახით.

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ტექნიკურად და ტექნოლოგიურად აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც სრულად და ოპერატიულად უზრუნველყოფს მომხმარებელთა მომსახურებას, წიგნადი ფონდის დაცულობას, რესტავრაციასა და სისტემატურ განახლებას, მრავალფეროვანი ელექტრონული სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

- შეფასება:**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მცირე კონტინგენტია, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით უნივერსიტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა 2014 წლიდან 2021 წლამდე ყოველწლიურად მზარდია, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დაწესებულებას შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და ამასთან, ვინაიდან, ისინი ლოგისტიკის დარგს მიიჩნევენ პერსპექტიულ მიმართულებად, პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფა ხორციელდება საერთო ბიუჯეტიდან.



აღნიშნულის მტკიცებულებაა დამატებით ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას თავისუფალი თანხის რაციონალურად და ეფექტიანად ხარჯვის მიზნით ბოლო წლების მანძილზე ხორციელდება ფაკულტეტების მიერ წარდგენილი პროექტების (საბიუჯეტო განაცხადების) შესაბამისად საერთო ბიუჯეტის ფარგლებში მათთვის ხარჯვის ლიმიტის გამოყოფა. ხარჯვის ლიმიტი არის ფაკულტეტებისათვის საერთო ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ხარჯვის გადაწყვეტის უფლება, ფაკულტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე ყოველწლიური პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მტკიცდება როგორც საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე ხარჯვითი ლიმიტის მოცულობა. ყოველწლიურად ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ხდება ფაკულტეტების საპროექტო განაცხადების წარდგენა უნივერსიტეტი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტების შეესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ;
- დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება:**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და



ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიდგომებისა და მექანიზმების ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, რომლის თანახმად, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის სისტემა ეფუძნება 3 ძირითად პოლიტიკას:

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
- კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA (ეფუძნება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ფაზებს. შეფასების ასპექტები: აკადემიური პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოები; გარე სამეცნიერო ფონდებით დაფინანსებული კვლევა; შიდა დაფინანსებით მიმდინარე სამეცნიერო კვლევა; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით მიმდინარე კვლევები; სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში ჩართულობა);
- მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA. ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში არსებული პოლიტიკების, პროცედურების და გამოყენებული ფორმების ურთიერთკავშირს ასახავს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილი დოკუმენტი „პოლიტიკა, პროცესები, დანართები“.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უნივერსალურ ინსტრუმენტად მიიჩნევა თვითშეფასებისა და ანგარიშების პროცედურა, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. კვლევითი საქმიანობის ხარისხის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ერთერთი კრიტერიუმად მიიჩნევა „სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია“, რომლის რაოდენობრივი ინდიკატორებია:

- საერთაშორისო სამეცნიერო კვლევაში ჩართული სტუდენტი, მაგისტრანტი, დოქტორანტი (ხარისხობრივი ინდიკატორები: ერთობლივი სტატია სტუდენტის მონაწილეობით; კონფერენციაზე/სემინარზე მოხსენება სტუდენტის ავტორობით),
- სადოქტორო დისერტაცია (ხარისხობრივი ინდიკატორები: სამეცნიერო სტატია).

ზემოთ მითითებული დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA) ხორციელდება 3 პროცედურის მეშვეობით:

- პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - ადგენს ახალი პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების წესებს, ძირითად მოთხოვნებს, პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს და სხვ. მისი დანართებია - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა; საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა; კურიკულუმის ფორმა; პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა; სილაბუსის ფორმა. ამავე დოკუმენტის დანართია „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია“ (4-EP-QA 1.1), რომელიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს: 1. კურიკულუმის სტრუქტურა; 2. პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით; 4.

სწავლების ენა; 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; 6. პროგრამის ანალოგები; 6. პროგრამის მიზანი; 8. სწავლის შედეგი; 9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; 10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; 11. სასწავლო გეგმა; 12. სასწავლო კურსის სილაბუსის სტრუქტურა; 13. ადამიანური რესურსები და სხვ. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: არსებული ჩანაწერი - „2.7. მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „დოქტორი“, მიმართულების და/ან დარგის სპეციალობის მითითებით“. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, დოკუმენტების გაგზავნისას დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი (იყო გამოგზავნილი რეგულაციის ძველი ვერსია). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილებით (15.07.2021) ცვლილებები განხორციელდა „უმაღლესი (აკადემიურ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციაში, სადაც ტერმინოლოგიური შეუსაბამობები გასწორებულია და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა რეგულაციის დღეისათვის მოქმედი (განახლებული) ვერსია. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ეს გარემოება, რადგან ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტამდე.

- პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2) - აღწერს პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ღონისძიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორებს და კრიტერიუმებს. მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- მოქმედი პროგრამის განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3) - განსაზღვრავს მოქმედი პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათი განხორციელების გზებსა და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და ამ ცვლილებების დამტკიცების სამუშაოს.

დაწესებულებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი“ (EP-QA 1.1) განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურებს, წესებს, ეტაპებს (ფაზებს) და ვადებს, ამ პროცესში ჩართულ პირებს და სხვ. ამ დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად:

- შეიქმნა პროგრამის სამუშაო ჯგუფი (იხ. მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის ტრანსპორტის მიმართულების სხდომის ოქმი #1, 08.05.2021);
- თვითშეფასების ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის არჩევა (იხ. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმი #02, 27.05.2021);
- შედგენილ იქნა პროგრამაზე მუშაობის გეგმა (იხ. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმი #03, 01.06.2021);
- განხილულ იქნა პროგრამაზე მუშაობის პროცესი (იხ. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმი #04, 08.06.2021);
- მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამის საინიციატივო ჯგუფის შექმნის შესახებ და დამტკიცდა ხელმძღვანელის ვინაობა (იხ. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #8, 14.06.2021);
- განხორციელდა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის განხილვა (იხ. თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმი #5, 28.06.2021);
- განხორციელდა პროგრამის განხილვა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აკრედიტაციის შემდგომი ეტაპისთვის მსვლელობის მიცემის შესახებ (იხ. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #12(21/22), 09.12.2021).

- ფაკულტეტის დეკანის მიერ პროგრამის ინიცირება გაფორმდა „საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმით“ (დანართი 1-EP-QA 1.1);
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ორიგინალის ინიცირება (იხ. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სხდომის ოქმი #5, 13.07.2021);
- განისაზღვრა როგორც ხელმძღვანელების ვინაობა (ცვლილება) (იხ. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სხდომის ოქმი #8, 08.10.2021);
- განხორციელდა პროგრამის განხივდა (იხ. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სხდომის ოქმი #09, 24.11.2021);
- პროგრამა დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება #12(21/22), 09.12.2021).

ზემოთ მითითებულ პროცედურებზე და შესრულებულ სამუშაოზე დეტალურად ისაუბრეს პროგრამის ხელმძღვანელმა და თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა. მათი განმარტებით, სამუშაო პროცესში გაანალიზებულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ უკვე გაცემული რეკომენდაციები (იხ. საბჭოს გადაწყვეტილება MES 1 21 0000318812, 02/04/2021), პროგრამის შინაარსობრივი და რესურსებით უზუნველყოფის (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსი) საკითხები, განხორციელდა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და მათი მოსაზრებების შესწავლა, უცხოეთის ანალოგიური პროგრამების შესწავლა და პროგრამის გარე შეფასება, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილი მასალებით. ინტერვიუს დროს პროგრამის კურსდამთავრებულებმა, დოქტორანტებმა (ამ ეტაპზე შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი) და პოტენციურმა დამსაქმებლებმა დეტალურად ისაუბრეს პროგრამის მნიშვნელობაზე და აქტუალობაზე, დაადასტურეს, რომ იყვნენ ჩართულები პროგრამის მოდიფიცირების პროცესში და აღნიშნეს, რომ პროგრამა შეესაბამება მათ მოლოდინებს და მათ მიერ ფასდება დადებითად.

ინტერვიუში მონაწილე პროგრამის მოდიფიცირების გუნდის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების პროცესი იყო კომპლექსური და მოიცავდა პროგრამისთვის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის შესწავლას და ამ პროცესში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან მიიღეს კონსულტირება სხვადასხვა საკითხებზე. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (პროგრამის კურიკულუმი, სილაბუსები) შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე შეუსაბამობა/უზუსტობა, რომელიც პროგრამის შემუშავების ეტაპზე შეიძლება ყოფილიყო აღმოფხვრილი (იხ. სტანდარტების კომპონენტებში განსაზღვრული როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი რეკომენდაციები და რჩევები). ზემოთ აღნიშნული გარემოებები მეტყველებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პროგრამის შეფასების მიდგომებისა და მექანიზმების გამოყენების კონტროლის საჭიროებაზე და პროგრამის განმახორციელებლებისთვის დამატებითი საინფორმაციო შეხვედრების/ტრენინგების/სხვ. ჩატარების მიზანშეწონილობაზე, რაც ასევე გამოიკვეთა პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგად.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს პროცესებისადმი კომპლექსურის მიდგომას, პროცესების დოკუმენტირებისა და სხვადასხვა პერიოდში მიღებულ შედეგებზე დაკვირვებისა და დადარებს შესაძლებლობა. (დასტურდება დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის/მართვის მარეგულირებელი დოკუმენტებით);
- პროგრამის მოდიფიცირება განხორციელდა კოლეგიალურად, სამუშაო ჯგუფის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, დაწესებულებაში მოქმედი პროცედურების

დაცვით. (დასტურდება როგორ დოკუმენტურად, ისე ინტერვიუს შედეგებით).

- პროგრამის მოდიფიცირების პროცესი მოიცავდა პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტის და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების შესწავლა-გაზიარებას. (დასტურდება დოკუმენტურად და ინტერვიუს შედეგებით). ამავდროულად, მიზანშეწონილია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაძლიერდეს შემდეგი მექანიზმის გამოყენება - პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად პროგრამის კომპონენტების სილაბუსების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამის საკითხებზე დამატებითი კონსულტაციების ჩატარება.
- შეჯამების სახით აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში არსებული ხარისხის მართვის სისტემა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები და მექანიზმები ქმნის პროგრამის განვითარებისა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის შესაძლებლობას.

**ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ:**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის განხილვის შედეგად, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია #1 გაუქმდა, რადგან ეხებოდა დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული ერთი მექანიზმის (კერძოდ, გარე შეფასების) არასრულად გამოყენებას და გარკვეულწილად ემთხვევა 5.2. კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას, ხოლო რეკომენდაცია #2 გადატანილ იქნა რჩევებში, რადგან იგი ამ რეკომენდაციიდან გამომდინარეობს.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი (EP-QA 1.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა (1-EP-QA 1.1.); საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა (3-EP-QA 1.1); კურიკულუმის ფორმა (4.1-EP-QA 1.1); პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა (4.2-EP-QA 1.1); სილაბუსის ფორმა (4.3-EP-QA 1.1); უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (4-EP-QA 1.1);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები - ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ (1-EP-QA 1.2); ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ (2-EP-QA 1.2); ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ (3-EP-QA 1.2); ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა (4-EP-QA 1.2);
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3);
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA;
- დოკუმენტი „პოლიტიკა, პროცესები, დანართები“.
- კვლევის განვითარების პოლიტიკა (RE-QA);
- თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა (ME-QA-3.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (1-ME-QA-3.1); დეპარტამენტის წლიური ანგარიში (2-ME-QA-3.1); ფაკულტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (3-ME-QA-3.1); სამსახურების წლიური ანგარიში (4-ME-QA-3.1);
- მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა (ME-QA-3.2);
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები #5, 13.07.2021, #8, 08.10.2021), #9, 11.11.2021).
- საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის სხდომის ოქმები #07, 24.06.2021, # 8, 14.06.2021;
- ფაკულტეტის დეკანის მიერ პროგრამის ინიცირება გაფორმდა „საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმით“ (დანართი 1-EP-QA 1.1);
- მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის ტრანსპორტის მიმართულების სხდომის ოქმები #01, 08.05.2021;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები #2,

<p>27.05.2021, #03, 01.06.2021; #4, 08.06.2021; #5, 28.06.2021;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამა დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება #12(21/22), 09.12.2021).</li> <li>○ პროგრამის გარე შეფასებები;</li> <li>○ დასაქმების ბაზრის კვლევა;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მიზანშეწონილია მომავალში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს შემდეგი მექანიზმის გამოყენება - პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად მოახდინოს პროგრამის კომპონენტების სილაბუსების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამის საკითხებზე ჩაატაროს დამატებითი კონსულტაციები.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>დაწესებულებაში არსებული რეგულაციების თანახმად, პროგრამის ხარისხის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს გარე შეფასება. გარე შეფასება განხორციელდა 2021 წელს "სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის (მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „საინჟინრო ლოგისტიკის დოქტორი“) აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში (იხ. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 1 21 0000318812, 02/04/2021), რა დროსაც ზემოთ მითითებულ პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს განისაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი - 2021 წლის 19 მარტიდან 2021 წლის 15 აგვისტომდე დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში“.</p> <p>მომდევნო პერიოდში დაწესებულების მიერ განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება - დღეისათვის პროგრამის დასახელებაა „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“, მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი“.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის და დღეისათვის არსებული პროგრამები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (განსხვავებული კვალიფიკაციებიდან გამომდინარე), პროგრამაზე მუშაობის პროცესში იხელმძღვანელებს საბჭოს ისეთი რეკომენდაციებით, როგორცაა, მაგ., „საჭიროა პროგრამის მიზანი იყოს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შესაბამისად პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან“, „საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილი იქნას ის კომპეტენციებიც, რომელიც კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება აკადემიური</p>



საქმიანობისთვის“, „პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები უნდა იყოს დოქტორანტურის საფეხურის შესაბამისი“, „სწავლის შედეგების შეფასების გეგმით სწავლის კონკრეტული შედეგის გაზომვისთვის არ უნდა იყოს მითითებული არჩევითი სასწავლო კურსები“, „პროგრამის კომპონენტის შემთხვევაში არ უნდა იყოს მითითებული კრედიტების რაოდენობა, პროგრამის მოცულობა კრედიტებში კი უნდა მოიცავდეს მხოლოდ სასწავლო კომპონენტის მოცულობა“, „აუცილებელია დაზუსტდეს დოქტორანტმა დისერტაციის დაცვამდე საკვლევ თემასთან დაკავშირებით რამდენი სტატია უნდა გამოაქვეყნოს და რა ტიპის გამოცემებში (რეფერირებად თუ იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში)“ და სხვ. აქვე აღსანიშნავია, რომ:

- 2021 წელს გაცემული რეკომენდაციების ნაწილმა დაკარგა აქტუალობა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების (კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, შედეგები, შინაარსი) შედეგად, მაგ., „კვლევითი სამუშაოების შესრულების მიზნით, საჭიროა მოხდეს ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება ლოგისტიკის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან“; „მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის კვლევის მიმართულებები და სასწავლო კურსები, მოხდეს მათი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანა“; „რიგ სასწავლო კურსებში საჭიროა სალექციო თემატიკა, სწავლის შედეგები და გამოყენებული ლიტერატურა სწავლების საფეხურთან მოვიდეს შესაბამისობაში“; „გადაიხედოს კონკრეტული სილაბუსების სწავლის შედეგები, კერძოდ რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული სასწავლო კურსით ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა - კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობა“.
- რეკომენდაციების ნაწილის შესრულება კი დღესაც აქტუალურია, მაგ., რეკომენდაცია #5.14: „... დაშვებული შეცდომები მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამების შემუშავებისა და განვითარების სტადიაზე აკადემიურ პერსონალს ესაჭიროებაოდათ ... ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მეტად კოორდინირებული მუშაობა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული დაფიქსირებული შეუსაბამოებები და ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრივაც საჭიროებს უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების სტადიაზე“. ამ რეკომენდაციის აქტუალობას ადასტურებს როგორც დოკუმენტური მასალის (პროგრამის კურიკულუმი და პროგრამის კომპონენტების სილაბუსები) შესწავლის, ისე ინტერვიუს შედეგები. გარე შეფასებით მიღებულ ამ რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებით და შესაბამისი აქტივობების გატარებით იქნებოდა უზრუნველყოფილი როგორც მიღებული რეკომენდაციის შესრულება, ისე პროგრამის მოდიფიცირების სტადიაზევე იმ უზუსტობების აღმოფხვრა, რომლებზეც საუბარია წინამდებარე დასკვნაში.

გარე შეფასების მიზნით, აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა განსახილველად გადაეცა დარგის სპეციალისტებს (საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების პროფესორებს), რომელმაც დადებითად შეაფასეს პროგრამა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, შემფასებლებს გაეგზავნათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ და მათ შეეძლოთ ემსჯელათ პროგრამის ყველა ასპექტზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასებები დადებითია, რაც დასტურდება შემფასებლების ოფიციალური წერილებით. ასევე, პროგრამა დადებითად არის შეფასებული პოტენციური დამსაქმებლების - დარგობრივი ორგანიზაციების მიერ: ინტერვიუში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა თავისი შინაარსით, მიზნებითა და შედეგებით შეესაბამება დარგში არსებულ მოთხოვნას, არის აქტუალური, იმსახურებს დადებით შეფასებას და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია დარგის განვითარებისათვის.

**ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ**

*ექვევშ არ დგება დაწესებულების მიერ პროგრამის სრულყოფის მიზნით განხორციელებული*



აქტივობები, თუმცა დაწესებულების არგუმენტირებული პასუხში მოყვანილი პოზიცია გაზიარებული არ არის, რადგან წინამდებარე დასკვნაში დაფიქსირებული შეუსაბამობების გამო კვლავაც აქტუალურია უკვე განხორციელებული გარე შეფასები შედეგად - აკრედიტაციის საბჭოს მიერ (საბჭოს გადაწყვეტილება №318812, 02.04.2021; <https://eqe.ge/ka/deqars/79/show>) - გაცემული რეკომენდაცია: „აუცილებელია პროგრამების შემუშავებისა და განვითარების სტადიაზე აკადემიური პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მეტად კოორდინირებული მუშაობა, რათა თავიდან იყო აცილებული შეუსაბამობები. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრივაც საჭიროებს უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების სტადიაზე“. მეტი სიცხადისთვის დასკვნის პროექტის ამ კომპონენტში არსებული რეკომენდაციას, რომელშიც საუბარი იყო გარე შეფასების სრულად გამოყენების საჭიროებაზე, განმარტების სახით დაემატა ზემოთ მითითებული, აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2021 წელს უკვე გაცემული რეკომენდაცია. საბოლოო სახით რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „უნდა მოხდეს გარე შეფასების პროცესში მიღებულ რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირება და შესაბამისი აქტივობების გატარება, რაც უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რა მიზნითაც ეს რეკომენდაციები იყო გაცემული, კერძოდ: „აუცილებელია პროგრამების შემუშავებისა და განვითარების სტადიაზე აკადემიური პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მეტად კოორდინირებული მუშაობა, რათა თავიდან იყო აცილებული შეუსაბამობები. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრივაც საჭიროებს უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების სტადიაზე“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის სილაბუსები;
- ვიზიტის დროს დათვალიერებული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
- გარე შეფასება დარგის სპეციალისტების მიერ (პროგრამაზე გამოხმაურების წერილი);
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- უნდა მოხდეს გარე შეფასების პროცესში მიღებულ რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირება და შესაბამისი აქტივობების გატარება, რაც უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რა მიზნითაც ეს რეკომენდაციები იყო გაცემული, კერძოდ: „აუცილებელია პროგრამების შემუშავებისა და განვითარების სტადიაზე აკადემიური პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მეტად კოორდინირებული მუშაობა, რათა თავიდან იყო აცილებული შეუსაბამობები. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრივაც საჭიროებს უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების სტადიაზე“.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება:**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავ-

რეზულტების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებაში მოქმედი წესების თანახმად, პროგრამის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის საფუძველზე დადგენილი შეფასების პროცედურების გამოყენებით. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი რეგულირდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურით, რომელიც გამოიყენება როგორც პროგრამების შეფასებისათვის, ისე მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის. ამავე დოკუმენტით განისაზღვრება პროცედურის ეტაპები (ფაზები) და მათი დასრულების ვადები. პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს/ცვლილებებს განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც თანამშრომლობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც ხელმძღვანელობს პროგრამის შეფასების შედეგებით, რაზეც დაყრდნობით მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების კონკრეტული ჩამონათვალი. ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პროგრამის განმახორციელებლები, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვების ჩატარებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც, ასევე, ადგენს კითხვარებს, შეისწავლის გამოკითხვის შედეგებს და ანალიზს უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს.

სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის შეფასებისას მხედველობაში მიღებულ იქნა ქვემოთ მითითებული გარემოებები:

- აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდში: 02.04.2021 (აკრედიტაციის საბჭოზე პროგრამის განხილვის თარიღი) - 20.12.2021 (თვითშეფასების ანგარიშის შევსების თარიღი):
  - განხორციელდა პროგრამის შემუშავების საჭიროების და აქტუალურობის შესწავლა, საერთაშორისო და საქართველოში არსებული ანალოგიური პროგრამების მიმოხილვა, პროგრამის შეფასება SWOT ანალიზის მეშვეობით, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობის შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის დასაბუთება (იხ. „დოქტორანტურის ახალი პროგრამის ინიცირება“). განისაზღვრა პროგრამის სტრუქტურა, მიზნები, შედეგები, შინაარსი (იხ. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ თვითშეფასების ჯგუფის და ფაკულტეტის სხდომის ოქმები). პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, დაზუსტდა დასაქმების სფეროები და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შინაარსობრივი მხარე, კერძოდ, გაზიარებულ იქნა ბრაუნშვეიგის (გერმანია) ტექნიკური უნივერსიტეტის მიდგომა, რომ „ტრანსპორტის ინჟინერია გულისხმობს სამეცნიერო პრინციპების და ტექნოლოგიების გამოყენებას ნებისმიერი სახის ტრანსპორტის ობიექტის დაგეგმვის, ფუნქციონალური დიზაინის, ექსპლუატაციის და მართვისათვის იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადამიანების და ტვირთების უსაფრთხო, ეფექტური, სწრაფი, კომფორტული, მოხერხებული, ეკონომიური და ეკოლოგიურად სუფთა გადაადგილება“. ამავე პერიოდში განხორციელდა კურსდამთავრებულების დასაქმების შესაწავლა და პროგრამის გარე შეფასება დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების (საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების პერსონალის) მიერ (იხ. შეფასების დასკვნები). პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მიღებული რეკომენდაციები და შენიშვნები განიხილა პროგრამის სამუშაო ჯგუფმა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი

გაითვალისწინებულია.

- პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, პროგრამის მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებულ იქნა უცხოელი ექსპერტის მოსაზრებები. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, რეკომენდაციები გაცემული იყო პროგრამისთვის „ORGANIZATION AND MANAGEMENT OF TRANSPORT PROCESSES“. Study Schedule 2017-2020, აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა კი არის „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ და მისი მოდიფიცირება დაიწყო 02.04.2021-ის (აკრედიტაციის საბჭოზე პროგრამის განხილვის თარიღი) შემდგომ.
- თვითშეფასების ჯგუფის და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, შესწავლი იქნა დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის განმახორციელებლები) მოსაზრებები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია არა გამოკითხვების შედეგები, არამედ კითხვარების ფორმები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმირება დასტურდება თვითშეფასების ჯგუფის და ფაკულტეტის სხდომის ოქმებით და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგებით. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში არსებული კითხვარების გამოყენებით გარკვეული გამოკითხვების ჩატარება ამ ეტაპზე იყო შესაძლებელი.
- გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე პროგრამა არ ხორციელდება (დოქტორანტებს შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი), რის გამო:
  - საანგარიშო პერიოდში ვერ იქნებოდა გამოყენებული ისეთი მექანიზმები, როგორცაა, მაგ.: დოქტორანტების აკადემიური მოსწრების მონაცემების სემესტრული ანალიზი, სამეცნიერო კომპონენტის გეგმის მიხედვით შესრულების ყოველსემესტრული შემოწმება, დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის და პროგრამის კომპონენტების მიზნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სასწავლო კურსის განმახორციელებლების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სხვ.
  - ვერ განხორციელდებოდა როგორც პროგრამის პერიოდული შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ისე შეფასების შედეგების სისტემური გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ასევე, ვერ იქნებოდა გამოყენებული პროგრამის ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ეტაპობრივი განვითარება. ეს გარემოება დაწესებულების მიერ იდენტიფიცირებულია როგორც გასაუმჯობესებელი მხარე და აქვს მისი განვითარების ხედვა (მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში), რაც ადასტურებს დაწესებულების მხრიდან ამ მექანიზმის გამოყენების მზაობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის ამოქმედების შემდგომ იქნება გაოყენებული დაწესებულებაში „მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურები (EP-QA 1.3)“, როგორც ეს ხდება სხვა მოქმედი პროგრამის შემთხვევაში.
- არსებობს პროგრამის განვითარების მკაფიო ხედვა, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა. მათი აღნიშნეს, რომ მომავალში გაძლიერდება საერთაშორისო პარტნიორებთან და დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარებისა და წარგატებისთვის. ასევე გასათვალისწინებელია ინტერვიუს დროს დამსაქმებლების მიერ დაფიქსირებული პროგრამის გამვითარების მხარდაჭრის და ამ პროცესში ჩართულობის სურვილი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;

- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი (EP-QA 1.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა (1-EP-QA 1.1.); საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა (3-EP-QA 1.1); კურიკულუმის ფორმა (4.1-EP-QA 1.1); პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა (4.2-EP-QA 1.1); სილაბუსის ფორმა (4.3-EP-QA 1.1); უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (4-EP-QA 1.1);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები - ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ (1-EP-QA 1.2); ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ (2-EP-QA 1.2); ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ (3-EP-QA 1.2); ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა (4-EP-QA 1.2);
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3);
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA;
- დოკუმენტი „პოლიტიკა, პროცესები, დანართები“.
- კვლევის განვითარების პოლიტიკა (RE-QA);
- თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა (ME-QA-3.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (1-ME-QA-3.1); დეპარტამენტის წლიური ანგარიში (2-ME-QA-3.1); ფაკულტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (3-ME-QA-3.1); სამსახურების წლიური ანგარიში (4-ME-QA-3.1);
- მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა (ME-QA-3.2);
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები #5, 13.07.2021, #8, 08.10.2021), #9, 11.11.2021).
- საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის სხდომის ოქმები #07, 24.06.2021, # 8, 14.06.2021;
- ფაკულტეტის დეკანის მიერ პროგრამის ინიცირება გაფორმდა „საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმით“ (დანართი 1-EP-QA 1.1);
- მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის ტრანსპორტის მიმართულების სხდომის ოქმები #01, 08.05.2021;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები #2, 27.05.2021, #03, 01.06.2021; #4, 08.06.2021; #5, 28.06.2021;
- „დოქტორანტურის ახალი პროგრამის ინიცირება“;
- სადოქტორო პროგრამის „სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“ კურსდამთავრებულების დასაქმების შესაწავლა. 2015-2021;
- PhDTransport (Eng)-Hameed-Comments-11-26-19;
- გამოკითხვის ფორმები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები);
- პროგრამის გარე შეფასებები და პროგრამების დადარება;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**  
-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**  
-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**  
-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**  
-

**შეფასება:**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

„სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები“. დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ვალერი ჯაჯანიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

მამუკა ბენაშვილი



თამარ გვიანიშვილი



ბაქარ დუაძე

